



# მოწოდება

5 მილიონი ევროპელი ერთსულოვნად იმადლებს ხმას

## ნაციონალიზმის წინააღმდეგ ერთიანი ევროპისთვის

შაბათს 14.10.2018

ჩვენ თავისუფალი და მშვიდობიანი ევროპა გვსურს. ნაცვლად ამისა, სიტყვა კვლავ ნაციონალიზმს ეძლევა. შეუწყნარებლობამ ფრთა გაშალა. სიძულვილი დაუფარავი ხდება, ძალადობა - ყოველდღიური. სხვის, უცხოის შიში წაქეზებულია და პოლიტიკურ კაპიტალად იქცევა. ძლიერი მამაკაცების მოწოდებები ისმის. საზოგადოებები კორუფციაში ეფლობა. სამართლის უზენაესობას წყალი შეუდგა. სოციალურ მიღწევებს და დიდი ძალისხმევის შედეგად მოპოვებულ უფლებებს საფრთხე დაემუქრა. თავისუფლება და მშვიდობა თავისთავად ცხადი აღარაა.

**დროა, ამას წერტილი დაესვას!**

შაბათს, 2018 წლის 13 ოქტომბერს, ქუჩებში და მოედნებზე გამოვიყვანოთ 5 მილიონი ევროპელი, რომელიც ერთსულოვნად აიმადლებს ხმას ნაციონალიზმის წინააღმდეგ და ერთიანი, დემოკრატიული და სოლიდარული ევროპისათვის.

**დაირაზმეთ!**

შაბათს, 2018 წლის 13 ოქტომბერს, 14 საათზე (ცენტრალური ევროპის დროით), ევროპის ყველა ქალაქში, და არამარტო ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, მანიფესტაციები გამართეთ. შეიკარით სამოქალაქო საზოგადოების წამომადგენლები, გაერთიანებები, რელიგიური საზოგადოებები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ხელოვანები, მოქალაქეები... ჩვენ ბევრნი ვართ! მოდით, 13 ოქტომბერს ეს თვალსაჩინო გავხადოთ. ხმამაღლა და მკაფიოდ!

მიმდინარე მოვლენების შესახებ იხილეთ

[www.13-10.org](http://www.13-10.org)

თუ თქვენს ქალაქში მანიფესტაციის ორგანიზება ან მანიფესტაციის ორგანიზებაში აქტიურად ჩართვა გსურთ [www.13-10.org](http://www.13-10.org)

ჩვენ, 13-10.org, ინტერნეტგვერდს ვრთავთ, რომელიც ევროპის რუკაზე 13 ოქტომბრის ყველა ღონისძიებას გააშუქებს, და ადგილობრივ ორგანიზატორებთან პირდაპირ ლინკებს გთავაზობთ. ჩვენ კოორდინაციას ვუწევთ სოციალური მედიის საქმიანობას და ონლაინ მოგაწვდით ნიმუშებს საერთო გრაფიკული ფორმებისთვის და სარეკლამო მასალების, ფლაერებისა და პროკლამაციებისთვის.